

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
5. გაყიდვის თვითღირებულება	14
6. კომერციული ხარჯები	16
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
8. ძირითადი საშუალებები	16
9. მარაგები	17
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
12. მიღებული სესხები	17
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
14. დაკავშირებული მხარეები	18
15. პირობითი აქტივები და ვალდებულებები	18
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნიდო“-ს ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს,

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ნიდო“-ს (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს ნიდოს 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიას 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეტავალყურობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 ივლისი 2025

შპს „ნიდო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები		10,055,998	6,120,790
გაყიდვის თვითღირებულება	6	(4,015,444)	(2,532,604)
საერთო მოგება		6,040,554	3,588,186
სხვა შემოსავლები		10,626	41,478
კომერციული ხარჯები	7	(1,967,531)	(1,287,949)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,825,586)	(898,895)
საოპერაციო მოგება		2,258,063	1,442,820
ფინანსური შემოსავალი		49,887	-
ფინანსური ხარჯი	13	(33,800)	(58,147)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(37,948)	(13,114)
მოგება დაბეგვრამდე		2,236,202	1,371,559
მოგების გადასახადის ხარჯი		(129,314)	-
წლის წმინდა მოგება		2,106,888	1,371,559

(*) საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი შენგელია

მთავარი ბუღალტერი



ქეთევან სებისკვერაძე

შპს „ნიდო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები		10,055,998	6,120,790
გაყიდვის თვითღირებულება	6	(4,015,444)	(2,532,604)
საერთო მოგება		6,040,554	3,588,186
სხვა შემოსავლები		10,626	41,478
კომერციული ხარჯები	7	(1,967,531)	(1,287,949)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,825,586)	(898,895)
საოპერაციო მოგება		2,258,063	1,442,820
ფინანსური შემოსავალი		49,887	-
ფინანსური ხარჯი	13	(33,800)	(58,147)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(37,948)	(13,114)
მოგება დაბეგვრამდე		2,236,202	1,371,559
მოგების გადასახადის ხარჯი		(129,314)	-
წლის წმინდა მოგება		2,106,888	1,371,559

(*) საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი შენგელია
მთავარი ბუღალტერი	_____	ქეთევან სეზისკვერამე

შპს „ნიდო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,224,748	538,467
არამატერიალური აქტივები		26,016	4,366
		1,250,764	542,833
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	1,419,409	1,309,924
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	226,504	206,899
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,007,991	1,307,308
		3,653,904	2,824,131
სულ აქტივები		4,904,668	3,366,964
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გადახდილი კაპიტალი		70,954	70,954
გაუნაწილებელი მოგება		3,405,833	2,031,723
სულ კაპიტალი		3,476,787	2,102,677
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	-	120,523
		-	120,523
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	120,524	186,053
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,053,559	755,099
საგადასახადო ვალდებულებები		253,798	202,612
		1,427,881	1,143,764
სულ ვალდებულებები		1,427,881	1,264,287
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,904,668	3,366,964

(*) – 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

შპს „ნიდო“

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	70,954	660,164	731,118
წლის სრული მოგება	-	1,371,559	1,371,559
2023 წლის 31 დეკემბერი	70,954	2,031,723	2,102,677
წლის სრული მოგება	-	2,106,888	2,106,888
გამოცხადებული დივიდენდი	-	(732,778)	(732,778)
2024 წლის 31 დეკემბერი	70,954	3,405,833	3,476,787

შპს „ნიდო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,236,202	1,371,559
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		107,281	54,373
ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი, წმინდა	13	(16,087)	58,147
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		3,371	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	8	74,113	63,843
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		37,948	13,114
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,442,828	1,561,036
მარაგების ზრდა		(84,773)	(580,501)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(19,840)	108,421
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		291,859	374,438
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		51,186	33,991
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,681,260	1,497,385
გადახდილი პროცენტი	13	(33,800)	(62,912)
მიღებული პროცენტი		49,887	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(129,314)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,568,033	1,434,473
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(917,408)	(290,883)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(917,408)	(290,883)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	13	(186,053)	(826,643)
სესხების მიღება	13	-	440,000
გადახდილი დივიდენდი		(732,778)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(918,831)	(386,643)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		731,794	756,947
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	1,307,308	566,020
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(31,111)	(15,659)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	2,007,991	1,307,308

10 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიდო“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405063693.

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კავსადის ქ. N4.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ქართული კულტურით შთაგონებული სახლის აქსესუარების, მათ შორის ჭურჭლისა და სუფრების შექმნა და რეალიზაცია. კომპანია ფოკუსირებულია უნიკალური დიზაინის პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ქართული ანბანითა და კულტურული ელემენტებით არის გაფორმებული.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები და დირექტორები არიან ბატონები, გიორგი (80%) და ლევან (20%) შენგელიები. კომპანიის მკონტროლებელი პირია ბატონი გიორგი შენგელია.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს-ები) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ლარში. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

4.3 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშო თარიღისთვის, რათა შეფასდეს, ხომ არ არის ისინი აღრიცხული ადდგენით ღირებულებაზე მეტი თანხით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულებები აღემატება შეფასებულ ანაზღაურებად თანხას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურება აღიარებულია შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი კორექტირდება მომავალ პერიოდებში, რათა გადანაწილდეს აქტივების შესწორებული საბალანსო ღირებულება, გამოკლებული ნარჩენი ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე სისტემატურ საფუძველზე.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს კომპანიას არ უღიარებია გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.

4.4 დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს, აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

4.5 გადახდილი კაპიტალი

კომპანიის გადახდილი კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალის იმ წილით, რომლითაც იგი შეივსო. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. გადახდილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. გადახდილი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

4.6 გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდებში მიღებულ აკუმულირებულ შედეგს.

4.7 მარაგები

კომპანია მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება FIFO მეთოდის საფუძველზე.

4.8 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გაწვევითანავე, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4.9 თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

4.10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4.11 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთვებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება.

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გააკეთა ნებაყოფლობითი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის წლის შედეგს და ფინანსურ მდგომარეობას.

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	კორექტირება	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,134,795	(6,134,795)	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,039,405)	2,039,405	-
ამონაგები	-	6,120,790	6,120,790
გაყიდვის თვითღირებულება	-	(2,532,604)	(2,532,604)
საერთო მოგება	4,095,390	(507,204)	3,588,186
სხვა შემოსავლები	-	41,478	41,478
მიწოდების ხარჯი	(416,146)	416,146	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(59,077)	59,077	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,159,617)	2,159,617	-
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	5,997	(5,997)	-
კომერციული ხარჯები	-	(1,287,949)	(1,287,949)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(898,895)	(898,895)
საოპერაციო მოგება	1,466,547	(23,727)	1,442,820
ფინანსური შემოსავალი	48,644	(48,644)	-
ფინანსური ხარჯი	(125,175)	67,028	(58,147)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	-	(13,114)	(13,114)
მოგება დაბეგვრამდე	1,390,016	(18,457)	1,371,559
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
წლის წმინდა მოგება	1,390,016	(18,457)	1,371,559

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივები	31.12.2023	კორექტირება	31.12.2023 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	538,467	-	538,467
არამატერიალური აქტივები	4,366	-	4,366
	542,833	-	542,833
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,109,447	(1,109,447)	-
მარაგები	-	1,309,924	1,309,924
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	365,802	(158,903)	206,899
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,307,308	-	1,307,308
	2,782,557	41,574	2,824,131
სულ აქტივები	3,325,390	41,574	3,366,964
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	70,954	(70,954)	-
გადახდილი კაპიტალი	-	70,954	70,954
გაუნაწილებელი მოგება	2,072,901	(41,178)	2,031,723
სულ კაპიტალი	2,143,855	(41,178)	2,102,677
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	306,577	(186,054)	120,523
	306,577	(186,054)	120,523
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	186,053	186,053
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	597,805	157,294	755,099
საგადასახადო ვალდებულებები	277,153	(74,541)	202,612
	874,958	268,806	1,143,764
სულ ვალდებულებები	1,181,535	82,752	1,264,287
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,325,390	41,574	3,366,964

6. გაყიდვის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(3,833,878)	(2,425,250)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(181,566)	(107,354)
	(4,015,444)	(2,532,604)

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. კომერციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	(980,495)	(596,485)
იჯარა და კომუნალური ხარჯი	(493,489)	(348,909)
რეკლამა	(258,198)	(181,461)
ტერმინალის საკომისიო და საბანკო ხარჯი	(182,190)	(123,076)
ცვეთა და ამორტიზაცია	(21,850)	(14,778)
სხვა	(31,309)	(23,240)
	(1,967,531)	(1,287,949)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	(1,389,590)	(589,054)
ცვეთა და ამორტიზაცია	(85,431)	(39,595)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(74,113)	(63,843)
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	(58,251)	(24,088)
კომუნალური გადასახადები	(56,653)	(35,195)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(20,273)	(9,244)
იჯარა	(11,833)	(11,731)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(10,417)	(20,587)
სხვა	(119,025)	(105,558)
	(1,825,586)	(898,895)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები*	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	209,526	180,903	-	4,940	395,369
შემოსვლა	144,879	142,952	-	3,052	290,883
2023 წლის 31 დეკემბერი	354,405	323,855	-	7,992	686,252
შემოსვლა	617,519	158,068	113,346	6,170	895,103
გასვლა	-	(3,851)	-	-	(3,851)
2024 წლის 31 დეკემბერი	971,924	478,072	113,346	14,162	1,577,504
დაგროვილი ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,445)	(49,333)	-	(1,017)	(51,795)
ცვეთა	(36,107)	(58,195)	-	(1,688)	(95,990)
2023 წლის 31 დეკემბერი	(37,552)	(107,528)	-	(2,705)	(147,785)
ცვეთა	(92,808)	(102,143)	(8,469)	(2,031)	(205,451)
გასვლა	-	480	-	-	480
2024 წლის 31 დეკემბერი	(130,360)	(209,191)	(8,469)	(4,736)	(352,756)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	316,853	216,327	-	5,287	538,467
2024 წლის 31 დეკემბერი	841,564	268,881	104,877	9,426	1,224,748

(*) 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში არსებული მანქანა-დანადგარები სრულად წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფას.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
მასალა და ნედლეული	796,414	925,266
მზა პროდუქცია	658,112	396,586
სხვა	125,561	74,637
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(160,678)	(86,565)
	1,419,409	1,309,924

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	23,581	40,919
სულ ფინანსური აქტივები	23,581	40,919
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	202,923	165,980
სულ არაფინანსური აქტივები	202,923	165,980
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	226,504	206,899

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,528,374	1,294,978
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	459,842	3,686
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	19,295	8,204
ფული საღაროში	480	440
	2,007,991	1,307,308

13. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023
	ძირი	ძირი
ფინანსური ინსტიტუტი	120,524	186,053
	120,524	186,053

გრძელვადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023
	ძირი	ძირი
ფინანსური ინსტიტუტი	-	120,523
	-	120,523

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო ვალდებულება შეადგენს 1,098 ლარსა და 2,793 ლარს, შესაბამისად.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების მოძრაობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
საწყისი ნაშთი	306,576	697,940
ფულადი ცვლილებები	(219,852)	(449,554)
არაფულადი ცვლილებები		
პროცენტის დარიცხვა	33,800	58,147
საკურსო სხვაობა	-	43
საბოლოო ნაშთი	120,524	306,576

კომპანიას სესხი მიღებული აქვს ფინანსური ინსტიტუტისგან, ლარში. აღნიშნული სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება. მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის წარმომადგენლების თავდებობით, უძრავი ქონებითა და კომპანიის ძირითადი საშუალებებით.

მიღებული სესხები არ მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	224,729	347,650
სახელფასო ვალდებულებები	791,839	390,331
სხვა ვალდებულებები	6,172	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,022,740	737,981
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	30,819	17,118
სულ არაფინანსური ვალდებულებები	30,819	17,118
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,053,559	755,099

15. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2024	2023
შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	1,307,867	527,516
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	500,390	230,978

16. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

შპს „ნიდო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. პირობითი აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

იჯარა - კომპანიას აქვს გაფორმებული საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, რომელიც უკავშირდება საოფისე, საწარმოო, სასაწყობო და სარეალიზაციო ფართების იჯარას. მომავალი საიჯარო გადასახადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
1 წლამდე	520,757	352,565
1-დან 5 წლამდე	91,276	-
	612,032	352,565

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია.